



## სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	რუსთავის „ხარები“ - ქუთაისის „არესი“		
გუნდი	რუსთავის „ხარები“	შეჯიბრი	დიდი 10
მატჩის თარიღი	29/10/2021	მატჩის ადგილი	რუსთავის სარაგბო ბაზა
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
მოთამაშე/პიროვნება	რუსთავის „ხარები“ მოთამაშე	დაბადების თარიღი	02/01/1995
სახელი, გვარი	ჟორა მღებრიშვილი		
მომჩივანი	მატჩის მთავარი მსაჯი გ.ლემონჯავა, მე-4 მსაჯი ს.ლომსაძე მეთვალყურე თ. მანაგაძე	საჩივარი	✓ მიღებულია უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი # 1 <b>9.28 მოთამაშემ არ უნდა გამოიჩინოს უპატივისმცემლობა მატჩის ოფიციალურ პირთა ავტორიტეტის მიმართ</b>	წითელი ბარათი	✓ საითინგი სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	02/11/2021	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი, თბილისი ქ.ამირეჯიბის #6
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ედუარდ ნაჭყებია, ლევან ჩიკვაძე		
დამრღვევის დასწრება	✓ კი არა	სხვა დამსწრეები :	კი არა
დამრღვევის წარმომადგენელი	რუსთავის „ხარები“-ს მწვრთნელი ირაკლი ნატრიაშვილი; კლუბის მენეჯერი გ. ქერაშვილი	აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მეთვალყურის თ.მანაგაძის საითინგი, მატჩის ოქმი. ვიდეომასალა.		



**დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).**

1. მატჩის მეთვალყურის თ.მანაგაძის საითინგი.
2. მატჩის ოქმი.
3. ვიდეომასალა.

**დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)**

არა

**დამრღვევის/წარმომადგენლის განცხადება**

რუსთავის „ხარების“ მოთამაშემ ჟორა მღებრიშვილმა აღიარა დარღვევა, განმარტა, რომ მისი საქციელი განპირობებული იყო მაღალი ემოციური ფონით (რუსთავის „ხარები“ დარღვევის მომენტში აგებდა თამაშს 21-28 და დამთავრებამდე დარჩენილი იყო ცოტა დრო). მან წუხილი გამოთქვა მომხდარის შესახებ და თავისი საქციელი(იხ. ვიდეომასალა) ყვითელი ბარათის მიღების შემდეგ ახსნა როგორც საკუთარ თავზე გაბრაზება და არა მსაჯის გადაწყვეტილების გაპროტესტება. თამაშის დასრულებისას ყველანაირად ცდილობდა გულშემატკივრების მსაჯის მიმართ უკმაყოფილების გამოხატვის შეკავებას.

**ფაქტობრივი მოცემულობა**

1. 2021 წლის 29 ოქტომბერს გაიმართა დიდი 10-ს მატჩი რუსთავის „ხარები“-სა და ქუთაისის „არესი“-ს შორის.
2. 2021 წლის 1 ნოემბერს სრკ-ს სადისციპლინო სამსახურს წერილობით (საითინგი) მიმართა მატჩის მეთვალყურემ თ. მანაგაძემ და წარუდგინა მატჩის ოქმი მატჩის ოფიციალურ პირთა ჩანაწერებით.. საითინგში და მატჩის ოქმში აღნიშნულია, რომ თამაშის 74-ე წუთზე მთავარმა მსაჯმა მისი გადაწყვეტილების (დანაშაულები ჯარიმის 10 მეტრით გადაწევა „ლაპარაკისთვის“) გაპროტესტებისთვის ყვითელი ბარათით სათამაშო მოედნიდან გააძევა რუსთავის „ხარები“-ს მოთამაშე ჟორა მღებრიშვილი, რომელმაც ცინიკურად (ტაშის დაკვრით) გააპროტესტა მსაჯის ეს გადაწყვეტილება და „სინ ბინ“-ში ყოფნისას, მე-4 მსაჯის და მეთვალყურის გაფრთხილების მიუხედავად ხმამაღლა აპროტესტებდა სასჯელს, იქცეოდა აგრესიულად, რამაც გამოიწვია გულშემატკივრების აგრესია და სიტყვიერი შეურაცხყოფა მთვარი მსაჯის გ. ლემონჯავას მიმართ.
3. აღნიშნული ინციდენტის ამსახველ ვიდეომასალაში ნათლად ჩანს რუსთავის „ხარები“-ს მოთამაშის ჟ. მღებრიშვილის არასპორტული საქციელი სათამაშო მოედნიდან გამოსვლისას და „სინ ბინ“-ში ყოფნისას.
4. 2021 წლის 2 ნოემბერს გამართულ სადისციპლინო კომისიის სხდომისას რუსთავის „ხარები“-ს მოთამაშემ ჟორა მღებრიშვილმა, აღიარა დისციპლინარული დარღვევა, წუხილი გამოთქვა მომხდარის შესახებ, მოიბოდიშა და განმარტა, რომ მისი საქციელი განპირობებული იყო დამაბული თამაშიდან გამომდინარე მაღალი ემოციური ფონით.



გადაწყვეტილება			
დარღვევის სტატუსი:	✓ მიღებულია	უარყოფილია	სხვა (აღწერეთ)

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა :

1. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციით, მუხლი 5, ქვევის კოდექსი -5.5 საჯაროდ არ გააკრიტიკოს / ხელი არ შეუწყოს მატჩის ოფიციალური პირების მიერ მატჩის დროს მიღებული გადაწყვეტილებების საჯარო კრიტიკას;
2. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი # 1  
9.28 მოთამაშემ არ უნდა გამოიჩინოს უპატივისმცემლობა მატჩის ოფიციალურ პირთა ავტორიტეტის მიმართ.

სანქციების პროცედურა	
დარღვევის სიმძიმის შეფასება	
სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციებით განსაზღვრული	
შეგნებული/წინასწარ განზრახული	✓ წინდაუხედავი/გაუფრთხილებელი
დარღვევის გამომწვევი მიზეზი	
მსაჯის გადაწყვეტილება;	
დამრღვევის მოქმედების სიმძიმე:	
არა	
მოთამაშის ქმედების ბუნება, მ.შ. რით მოქმედებდა მოამაშე (მუშტი, თავი, იდაყვი, მხარი, მუხლი, ფეხი):	
არა	
ჰქონდა თუ არა ადგილი პროვოცირებას:	
არა	



სურდა თუ არა მოთამაშეს თავისი ქმედებით სამაგიეროს გადახდა და როგორ იყო ეს დროში განაწილებული:
არა
მოთამაშის მხრიდან ჰქონდა თუ არა ადგილი თავდაცვას (ანუ, მოუწია თუ არა მას გარკვეული ძალის გამოყენებით საკუთარი თავის დაცვა):
არა
რა გავლენა მოახდინა მოთამაშის ქმედებებმა დაშავებულზე (მაგ. ტრავმის სიმძიმე, დაშავებული მეტოქის მოედნიდან გაყვანა):
არა
დარღვევის გავლენა მატჩის მსვლელობაზე
არა
დაშავებულის დაცულობის ხარისხი
არა
დარღვევის ფაქტში ჩართულობის დონე და წინასწარ განსჯის უნარი;
არ
შესრულდა მოთამაშის მიერ განზრახული ქმედება თუ მცდელობით შემოიფარგლა;
დარღვევასთან დაკავშირებული მოთამაშის ქცევის სხვა ნებისმიერი ასპექტი.

<b>დარღვევის ხარისხის შეფასება. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციების დანართი 1 -ის და/ან დანართი 2-ის მიხედვით</b>
✓
ზედა ზღვარი * კვირა. შუა ზღვარი კვირა ქვედა ზღვარი 2 (ორი) კვირა

\*ზედა ზღვარით შეფასების დროს სადისციპლინო კომისია კვირების რაოდენობას განსაზღვრავს ზედა და მაქსიმალურ ზღვარს შორის.

ზედა ზღვარის მინიჭების განმარტება:



**შესაბამისი შემამსუბუქებელი ფაქტორები:**

დამრღვევის მიერ დანაშულის/შეცდომის აღიარება და აღიარების დრო;	დადებითი სადისციპლინო ისტორია და/ან დადებითი რეპუტაცია;
სადისციპლინო კომისიის სხდომაზე, მოთამაშემ აღიარა დარღვევა, მოიბოდიშა და წუხილი გამოთქვა მომხდართან დაკავშირებით;	სუფთა სადისციპლინო ისტორია
მოთამაშის ახალგაზრდობა და გამოუცდლობა;	ქცევა განხილვამდე და განხილვის პროცესში;
არა	კარგი
დამრღვევის მიერ ჩადენილი საქციელის გამო სინანულის გრძნობის ე.წ. მსხვერპლისთვის დემონსტრირება და ამ დემონსტრაციის დრო;	ნებისმიერი სხვა შემამსუბუქებელი გარემოება
	თამაშის დამთავრებისას მოთამაშე ცდილობდა გულშემატკივრების მხრიდან მსაჯის მიმართ უკმაყოფილების გამოხატვის შეკავებას.

**დაკლებული კვირების რ-ბა: 1 (ერთი)**

კვირების დაკლების მიზეზის მოკლე აღწერა :

1. მოთამაშის სუფთა სადისციპლინო ისტორია
2. სადისციპლინო კომისიის სხდომაზე, მოთამაშემ აღიარა დარღვევა, მოიბოდიშა და წუხილი გამოთქვა მომხდართან დაკავშირებით;
3. თამაშის დამთავრებისას მოთამაშე ცდილობდა გულშემატკივრების მხრიდან მსაჯის მიმართ უკმაყოფილების გამოხატვის შეკავებას.

**შესაბამისი დამატებითი დამამძიმებელი ფაქტორები:**

მოთამაშის / პიროვნების უარყოფითი სადისციპლინო ისტორია;
დარღვევისგან თავის შეკავების ვალდებულება;
ნებისმიერი სხვა დამამძიმებელი გარემოება;

**დამატებითი კვირების რ-ბა: არა**



## სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი)	1 (ერთი) კვირა	წითელი ბარათი საკმარისია
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	03/11/2021	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი	07/11/2021 (დიდი 10-ს მიმდინარე განრიგის მიხედვით)	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	გაფრთხილება. მოთამაშის სადისციპლინო ისტორიაში მოხდეს შესაბამისი ჩანაწერი.	

სრკ-ს წევრ სუბიექტზე დაკისრებული ფულადი ჯარიმადა ჯარიმის გადახდის ვადა	არა
U16-U18 და მოყვარულთა დონის გუნდებისათვის ფულადი ჯარიმის 7 კალენდარულ დღეში გადაუხდელობის შემთხვევაში - დასაკლები საცხრილო ქულების რაოდენობა	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	02/11/2021
--------------------------	--	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.